ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4245642

ნომერი: AR1641193

თარიღი : 31.10.2018

გაცემის თარიღი : 01.11.2018

გაცნობის თარიღი : 01.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N45ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა ცინცაძე პ/ნ 01001001894
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 42 ბ. 70

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
ზონის მიხედვით საპროექტო ტერიტორია დღეის მდგომარეობით მდებარეობს როგორც საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2 (სსზ-2) ასევე სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), მოგახსენებთ რომ სარეკრეაციო ზონა-1 (რზ-1), მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშნებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდების, დეკორატიული გაფორმების ობიექტების, კიბეების, გზების ბილიკების. აღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს დოკუმენტაცია. მოგახსენებთ რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 15, პუნქტი 8 თანახმად: თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არცერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის ¾-ს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ ზონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, რზ-1-ის რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. აქვე მოგახსენებთ რომ იმ შემთხვევაში თუ ღობის განვითარება გსურთ ტერიტორიაზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გათვალისწინებით, მაშინ საკითხი უნდა დააყენოთ ზემოაღნიშნული პროექტის კორექტირების კუთხით და ღობე გაითვალისწინოთ კორექტირებულ პროექტში.
გიგზავნით შესაბამის დანართს ფუნქციური ზონებით რითაც უნდა იხელმძღვანელოთ ღობის განთავსებისას.(იხ. დანართი)
თქვენს მიერ წარმოდგენილი GWP-ის წერილი არ არის მისაღები რადგან გაცემულია მასთან წარდგენილ პროექტზე და დაუდგენელია თუ რომელ პროექტთან დაკავშირებით გასცა თანხმობა, აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მათთან წარდგენილი პროექტი (საჭიროა დგინდებოდეს, რომ სწორედ მათთან წარდგენილ პროექტს წარმოადგენთ) ასევე არ დგინდება თანხმობაზე ხელმომწერი პირი უფლებამოსილება საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ირაკლი ბაბუხადიას აქვს ასეთი თანხმობის გაცემის უფლებამოსილება. ასევე შესაძლებელია, რომ დამოწმებული გენგეგმა წარმოადგინოთ.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.